საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/183 " 15 " აგვისტო 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, 2019 წლის აგვისტოს თვეში თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგოს 45%-ის ოდენობით.

2. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს (გარდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისა), საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისათვის დადგენილ მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, 2019 წლის აგვისტოს თვეში თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ 1200 ლარის ოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს - ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დადგენილი დანამატების გაცემა.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი